ბრაუნფილდის პრობლემები და განვითარება

ქალაქ თბილისის ყოფილი არსენალის ტერიტორიის მაგალითზე

გიორგი გამისონია

სამაგისტრო ნაშრომი

კურსის ხელმძღვანელი: სალომე ბერეჩიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი გამისონია

12.06.2022

აბსტრაქტი

„ბრაუნფიდლები“–ს ინტეგრაცია ქალაქის ურბანულ ნაწილში, სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. „ბრაუნფილდები“ განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც მოექცნენ ინდუსტრიული რევოლუციის ქვეშ. ძირითადად, მსგავსი ტიპების მშენებლობების ექსპლუატაციის ვადა გათვლილი იყო რამდენიმე ათწლეულზე. შემდგომში მათ გაჩერებას თან ახლავს ბევრი პრობლემები. კვლევის ამოცანაა შეისწავლოს თბილისში არსებული „ბრაუნფილდების“ ისტორიული ფონი და გაანალიზოს მათი ზემოქმედება ქალაქზე.

კვლევის მიზანს წარმოადენს თბილისში არსებული, არსენალის ყოფილი სამხედრო ბაზის შესწავლა და მისი ათვისებისთვის საუკეთესო კონცეფციის შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომი განიხილავს მსოფლიოს მაგალითებს, რომლებიც ითვალისწინებენ „ბრაუნფილდის“ პრობლემების გადაჭრის გზებს და წარმოადგენენ მათი ახლიდან მოდიფიცირების მეთოდებს.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, ძველი თბილისი, „ბრაუნფილდები“, არსენალი, ყოფილი სამხედრო ბაზა, ადაპტაცია, გამოცოცხლება.